№ 640 კვირა, 27 სექტემბერი. 1896—1898 კვირა, 27 სექტემბერი № 640

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის-მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი

ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.

თითო ნომერი 3 კაპიკი

ფასი განცხადებისა

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეორეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.

Телефонъ № 363.


გაზეთი „ცნობის ფურცელი"

წლის დამლევამდე

# ღირს 2 მანათი

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".

ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.

ქარხანა იღებს შირაანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)

იაფად და ხმელის მასალისას.

ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.

მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.

პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა

ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—38)

ВИНОГРАДНЫЕ ПРЕССЫ

трехъ величинъ

и

ВИНОГРАДНЫЯ МЯЛКИ

продаетъ торговый домъ

С. П. Павловъ и К°

Тифлиъ. Лорисъ-Меликовская улица № 6. Телефонъ № 349.

პრესები ყურძნის დასაჭყლეტად

სამი ნაირის ზომისა

იყიდება ს. პ. პავლოვისა და ამხ.

სავაჭრო სახლში

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.

ტელეფონი №349. ტელეფონი № 349.

(15—15)

კრება დრამატ. საზოგადოებისა

დანიშნული პარასკევს, 25 სექტემბერს, რადგან საკმაო წევრთა დაუსწრებლობით არ შესდგა, ამიტომ იგივე კრება დანიშნულია **კვირას, ოქტომბრის 4-ს**, შუადღის 12 საათზე, სათ.-აზნ. ბანკის დარბაზში.

კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კენჭის ჩამოტარების უფლება იმას მიეცემა, ვისაც წელს საწევრო ფული აქვს შემოტანილი.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხ. გამავ. საზ. წიგნის მაღაზიაში

ქართული საერო და სასულიერო კილოები

შედარების ნიმუშებით

მღვდ. პ. კარბელაშვილისა

ფასი 20 კაპ. (10—8)

ქუთაისი

ქალაქის თეატრში

შაბათს, 10 ოქტომბერს 1898 წ.

ყოვლად-სამღვდელო გაბრიელის იაფ-ფასიან წიგნთ-საცავის სასარგებლოდ

გამართული იქნება:

I

პირველი მოქმედება ოპერისა

ნორმა

II

ორი უკანასკნელი მოქმედება ოპერის

ტრავიატა

უმთავრეს როლებს შეასრულებენ ქ-ნი მნელამისა და ტენორი ბ-ნი კოვალენსკი

ექიმი თუმანოვი

ღებულობს ავადმყოფებს ქალების სატკივრით ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

მადერის ქ. № 6, სახ. ვარლამოვისა.

Д-ръ Тумановъ

Куки. Мадеровская ул. № 6.

სტუდენტი ეძებს გაკვეთილებს და სხვასაქმეს

მოიკითხონ ავჭალის ქუჩაზე, № 9 ნაუმოვის სადგომი, ან „ცნ. ფურცლის" რედაქციაში. (6—5).

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალო

გადავიდა სადგომად ბარონის ქუჩაზე, თამამშოვის სახლებში № 12.

მიიღებენ შეგირდებს და საკერავს პირველ ოქტომბრიდან.

სახელოსნოს მმართველად მოწვეულია კაბების კერვის ჩინებულად მცოდნე ქ. ჟილიაევისა.

კბილის ექიმი

ალექსანდრე სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე

მიხეილის ქუჩა № 32

(30—16)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

БЕНКЛЕВСКІЙ

Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

ექიმი

ი. ი. ზურაბოვი

გადავიდა სუდებნი ქუჩაზე, სახ. № 15. (10—9)

მხატვარი

გ. გაბაშვილი

გაკვეთილებს აძლევს კავკასიის სამხატვრო საზოგადოების დარბაზში, გრიბოედოვის ქ. № 5. მსურველთ ადრევე უნდა ჩაეწერნენ. (10—5)

სამკურნალო და ამბულატორია

**ს. ვ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანის, ნერვების, საქირურგო, თვალის და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11-საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ვ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ვ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** † ე. ნ ჩხეიძისა. 24 ამა სექტემბერს ქ. ქუთაისში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ევგენია ნიკოლოზის ასული ჩხეიძისა.

განსვენებული კარგად ცნობილი იყო, როგორც მოღვაწე ქართულს სცენაზე 1874—75 წლებში, როცა ქ. ქუთაისში სამუდამო დასი დაარსდა, განსვენებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა წარმოდგენებში. ამ ხუთის წლის წინათ საბრალომ დამარხა თვისი უფროსი ქალი, ნიჭიერი არტისტი ქუთაისის სცენისა მართა ჩხეიძისა. მეორე ქალი განსვენებულისა კარგად ცნობილი და ნიჭიერი არტისტი, ნინო ჩხეიძისა დღესაც მოღვაწეობს ქართულს სცენაზე. განსვენებულს ევგენიას ბევრი წვრილ-შვილი დარჩა.

*** დრამ. საზოგადოების საგანგებო კრება, რომელიც დანიშნული იყო პარასკევს, ვერ შესდგა, რადგან წევრთა საკმაო რაოდენობა ვერ დაესწრო, ამიტომ კრება გადადებულ იქმნა დამდეგი თვის 4-სათვის, კვირას, შუადღის 12 საათზე. კრება შესდგება სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობის ხუთი წევრი.

როგორც განცხადებიდან სჩანს, ამ კრებაზე ხმა იმათ მიეცემა მხოლოდ, რომელთაც 1898 წლის საწევრო ფული შემოტანილი აქვთ.

*** თავ. ი. მაჩაბლის შესახებ. როგორც მკითხველებმაც უწყიან, თავ. ივანე მაჩაბლის შესახებ გამოძიება მინდობილი აქვს პოლიციის ბოქაულს ბ-ნ ბაბალოვს. როგორც ამბობენ, თავ. ი. მაჩაბელი ცოცხალი უნდა იყოს და რამდენიმე ხნის შემდეგ იმედია გამოჩნდება კიდეც. ღმერთმა ხელი მოუმართოს!

*** პრაკასჩაკის ქურდობა. 24 სექტემბერს, ტფილისის მეორე გილდის ვაჭარმა სტ. ანიევმა, რომელსაც ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ საკანდიტერო აქვს, ნარიმანოვის სახლში, პოლიციას გამოუცხადა, რომ ცრო და დრო ფული მეკარგება, რომლის ჯამი 10,000 მან. აღემატებაო. პოლიციის მოხელეთ რაზუმოვსკიმ და ოსეფოვმა გამოიძიეს და აღმოჩნდა, რომ ფული იყო მოპარული ანიევისავე ნოქრის ოვანეს მარქარიანცისაგან. გაჩხრეკის დროს სკივრში აღმოჩნდა 8,000 მ. ბანკის ბილეთი და სხვა ვექსილები 530 მანეთისა.

*** წმ. ნინოს მოსწავლე ქალთა რაცხვა. წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში 173 მსურველთა თხოვნა იყო მირთმეული, მიღებულ იქმნენ 92 ქალი და უარი განეცხადათ 81. სასწავლებელში იზრდება სულ 480 მოსწავლე ქალი, ამათგან 270 პანსიონში მაცხოვრებელნი არიან.

*** ყაჩაღის ალაი-ბეგ მურსაკულოვის ბრბო. როგორც გაზეთ „კავ.“ აუწყებს, 15 სექტემბერს შეტაკება და დიდი სროლა მომხდარა მურსაყულოვის ბრბოსთან. ზემო აღნიშნულ რიცხვში შეუტყობინებიათ დარაჯების რაზმის უფროსის ოსეპიანცისთვის, რომ განჯის გზაზედ მურსაყულოვის ყაჩაღთა ბრბომ მიმავალი მგზავრები გაძარცვესო. მაშინვე მოახდინა განკარგულება ოსეპიანცმა და შვიდის შეაიარაღებულის დარაჯით დაედევნა ხრამის ხეობისკენ, სადაც ცხენები დაინახა, უცებ თოფის ხმაც შემოესმა, სადაც ყაჩაღების ბრბო ჩირგვებში ყოფილიყვნენ დამალულნი. მაშინ, როდესაც დარაჯები ტრიალს მინდორზედ დარჩნენ. ჩაფრების უფროსმა მაშინვე კაცი აფრინა სოფ. ასახლოში, რომ მცხოვრებლები მოსშველებოდნენ. ხალხიც წამოეშველა და ყაჩაღებმა იბრუნეს პირი გასაქცევათ. ყაჩაღებს მოუკლეს ერთი ცხენი, მეორე დასჭრეს, ერთი ცხენიდან გადმოვარდა და ცხენი მინდორში გაიქცა. ოსეპიანცი დაედევნა ჩაფრებით, ყაჩაღებმა გორაკა გადაიარეს და მინდვრათ გავიდნენ. აქ დიდი სროლა გაიმართა ორივე მხრით. ჩაფრებმა ყაჩაღები სძლიეს და იკადრეს გაქცევა ხრამისკენ და მიეფარნენ მას. ყაჩაღებს გაევლოთ სოფ. ქოსლარისაკენ. აქ მცხოვრებთ ენახათ ორი მათგანი დაჭრილი—ერთი მარცხენა გვერდში და მეორე—თავში. გავლის დროს მგზავრებისთვის ცხენები წაერთმიათ. სუბუქათ დაიჭრა მხარში დარაჯი ასტიან ბაისიტოვი, მხოლოდ ყაჩაღების მხრივ არის ტყვიით დაჭრილი ასტან-აღა. ყაჩაღების ბრბოს ჩაფრებმა წაართვა ცხენი და სხვა ავეჯეულობა: ბერდანის თოფი, პიპოდისა, პატრონები, ორი ნაბადი, ყაბალახი, ჩამოდანი, პიჯაკი, სანალბანდო იარაღი, ხურჯინი ხორაგეულობით და რამოდენიმე ახალი „ტფილისის ფურცლის“ ნომრები.

*** პროფ. ვ. ვ. დოკუჩაევის გამგზავრება. პროფესორი ვ. ვ. დოკუჩაევი დღეს 27 სექტემბერს ტფილისიდან პეტერბურგს გაემგზავრება.

*** ფულის დაკარგვა. 24 სექტემბერს, დილის 11 ნახევარ საათზე, ტფილისის სავუბერნიო ხაზინის ხაზინადარმა გარბუნოვმა ფოსტაში თალათიანით ფული წაიღო ნაფიცი და პოლიციელი თანა ჰყვანდნენ. ფულის თალათინი მიჰქონდათ მუშებს ზაქარა აბრამოვს და გრიქურა ოჰანესოვს. დათვლის დროს. 750 მანეთი დააკლდა. ექვი მუშებზე მიიტანეს და დააპატიმრეს კიდეც.

*** ახალი სკოლა. რეალურს სასწავლებელთან ახლად დაარსებულ მოსამზადებელს კლასებში 65 ბავშვი იქმნა მიღებული.

*** სახალხო წარმოდგენა. 1 ოქტომბერს, ხუთშაბათს, ავჭალის ქუჩაზე გამართული იქნება სახალხო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება: „Шутники“ ოსტროვსკის ოთხ-მოქმედებიანი სცენები.

*** ს. ვაქირი (ქიზიყი). საჭირო განმარტება. „ცნობის ფურცლის“ № 630 ვიღაც „ვინმე შინაური“ ამბობს ჩემ შესახებ: ეგზარხოსი რომ მობრძანდა ვაქირში „მათს მეუფებას მთელმა (?!) ერთმა სამრევლომ სთხოვა მღვდელი გამოგვიცვალეთო. ამ სამრევლოს თხოვნაც ჰქონია გაგზავნილი მღ. ი. ტ შეილზეო“. დიაღ, თხოვნა გაეგზავნა რამდენსამე პირს (რაიც გამოძიებამ უკვე დაამტკიცა) და პირადაც იჩივლეს იმავ ჩემთან პირადი მტრობის მქონე ორიოდემ, და არა „მთელმა მრევლმა“, როგორც თქვენა ბრძანებთ მტკნარ სიცრუეს თქვენის გულის მოსაფხანად.

მღვდელი ი. ტუკუშაშვილი

*** სად. საჯავახო. ცეცხლის წაკიდება. ამას წინად, ღამის ათ საათზე ცეცხლი გაუჩნდა ადგილობრივი მცხოვრების ბაგრატ ჯიბლაძის სახლს; რომელიც ღამის 12 საათამდი სულ გადიბუგა. სახლთან ერთად დაიწვა მთელი ის ქონება-საბადებელი, რომელიც-კი ჯიბლაძეს ყმაწვილობიდან შეეძინა. მთელი ზარალი უდრის რვაას თუმანს. ცეცხლის წაკიდების დროს თვითონ ბ. ჯიბლაძე თავისი ოჯახობით ღვთის მშობლის დღეობაზე იყო წასული და დაეტოვებია მხოლოდ ორი გოგო და ორი მოჯამაგირე რკინის გზისა, რომელთაც დაქირავებული ჰქონდათ ორი ოთახი და პალატი. მოიჯარადრეებმა გადაარჩინეს ცეცხლს ზოგიერთი რამ თავიანთი ნივთები და მათივე წყალობით გადარჩნენ ცეცხლისაგან დაწვას გოგოები, რომლებსაც ეძინათ ცეცხლ-მოდებულ სახლში და რომლებიც მხოლოდ მოიჯარადრეთა რევოლვერების ხმამ გამოაღვიძა.

*** ს. ვარციხე (იმერეთი). ნაქურჩალი როგორც საქონლის საკვები. მოგეხსენებათ, საქართველოში სიმინდის ნაქურჩელს, მარცვლების მოშორების შემდეგ, სწვავენ, როგორც უბრალო შეშას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სიმინდის ნაქურჩელი საუცხოვო საკვებელია პირუტყვისათვის. მ. ა. ანანოვს აქვს გამართული თავის მამულში, სახელდობრ „ფარციხეში“ საღერღი მაშინა, რომელიც მუშაობს ჩალხებით და წყლის საშუალებით. ეს მაშინა მშვენიერათ ღერღავს უმარცვლო ნაქურჩელს და აი ასე დაღერღილი ნაქურჩლით ჰკვებს საქონელს, რომელიც მას მადიანად ჰამს. როგორც კი გაიგეს ეს ამბავი მცხოვრებლებმა, დიდის მოწიწებით დაიწყეს გროვება ნაქურჩლებს ზამთარში ოთხფეხ საქონლის საკვებად.

— ამინდები. სექტემბერი ჩვენში სიცივით აღარ გაირჩევა ზამთრის თვეებისაგან. მთებიდან გადმოგვყურებს ახლად მოსული თოვლი. თოვლი. თუ ამ თვეში იკვე სიცივემ ბოლომდე გასტანა, უნდა მოველოდეთ უვარგისი ღვინის მოსავალს, რადგან ყურძენი ვერ დამწიფდება, და აგრეთვე ნაგვიანევი სიმინდის წახდენას.

ი. ტ.

*** დ. აბაშა. (სამეგრელო) რაც თქმულება არის ყველაფერი მართალია; მართლადაც ზოგიერთი ზარმაცი კაცი, რომელსაც სამსახური და შრომა-მუშაობა ეზარება და ქვეყნის ტყვილა ბარგია, გამოძებნის ისეთ ხელობას, რომ დრო წაიღოს: ხან ლექსების წერას მიჰყოფს ხელს და ხან ექიმო-

ზას დაიწყებს, როცა არც ერთისა და არც მეორისა არა გაეგება რა! ერთი ასეთი „ცუხი“ და გაიძვერა სოფლის ექიმი (?) ცხოვრობს სოფელ გულუხეთში. ეს სოფელი აბაშიდან ხუთი ვერსის სიშორით მოცილებულია და შეადგენს „საქორთუოს“ და არა სამეგრელოს. ზოგიერთი ქვეყნის ბარგი მრავალი მიზეზების გამო შესაბრალისია, ხოლო ეს ვაჟბატონი ატყავებს ხალხს და თავისი უცოდინარი ხელობით არა ერთი და ორი გამოასალმა წუთი სოფელს! მაგალითად ის კბილის წამლად აძლევს ქეზაპს, რის გამო მთელი შიგნითა პირი არა ერთსა და ორს ავადმყოფს სრულიად დაუწვა! საოცარ სურათს წარმოადგენს მაინც ეს ექიმბაში: თითონ ჯოჯოხეთის მაშხალას უფრო წააგავს, ვინემ ადამიანს და ბოლო დაქნილ ყვავივით „ფრაკში“ გამურულ „საკვაიაჟით“ წამლებს დაათრევს სოფლიდან სოფლამდის. საკვირველია აქაურ მცხოვრებთა ამბავი, ვილაც გაიძვერებს და მარჩიელებს უფრო უჯერებენ, ვიდრე ნასწავლ ექიმს და მიტომაც არის ჩვენ გული შეგვტკივდა მეზობელზე. იმედია მაზრის ექიმი დაიბარებს გოგია“ ექიმს და აუკრძალავს ასე თავისუფლათ ხალხის ტყავებს.

ვინც უნდა ვიყო

## რედაქციისაგან

**ახალ-სენაკში** ნიკოლა გურიელს. თქვენი პატარა შენიშვნა არ დაიბეჭდება.

**ს. ანაშენში** ძველ მეთვალყურეს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება.

**ს. პრიშიბში** გ. ახალციხელს. თქვენი «მცირე პასუხი» ვერაფერი პასუხია, ცალიერის სიტყვები და საბუთი რამ აქა არის-რა.

**დ. ოჩამჩირეში** კ. გვასალიას. მაგისთანა მოცლილი ხალხი პირადი პასუხის ღირსიც არ არის, არა თუ გაზეთით ვუპასუხოთ რამე.

**დ. ყვირილაში** თავისუფალს. თქვენი «საჭირო განმარტება» ვერ დაიბეჭდება თქვენი რეცენზიით განაწყენებულ მომღერალთა საქციელი დიახ სააუგოა, მაგრამ «საგაზეთოდ» არა ღირს.

# თეატრის მატიანე

იტალიური ოპერა. სათავად-აზნაურო თეატრში აგერ ეს ერთი კვირაა, რაც იტალიელები ოპერას სდგამენ ბ-ნი კასტელანოს ლოტბარობით. დასში მშვენიერი ხმებია და განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არიან მომღერალნი ქალნი ლუჩიანი-კასტელანო, დოვანი, ბარიტონი და ალიბონი, ტენორებისა—მარკონი, დევრანდი და ბასი-ჰიომი.

დასმა უკვე რამდენიმე ოპერა წარმოადგინა, რომელთა შორის საუცხოვო იყო და დიდი ზედ-გავლენა იქონია საზოგადოებაზე „კარმენმა“, „ფაუსტმა“ და „ტრუბადურმა“. ოპერის დასი ტფილისში დარჩება კიდევ სამიოდე წარმოდგენაზე.

—

ბოვიოს ბენეფისი. დღეს, სათავად აზნაურო მამულის ბაღში, რომელიც სხირტლაძეს უჭირავს და სადაც ყოველ დღე მომღერალთა დასია და სიმღერებს არდგენს, დანიშნულია ბენეფისი ერთი საუკეთესო ფრანგულ კომიკი მომღერალთა ქ-ბ-ნი და ბ-ნი ბოვისიოსი (Boviot). ხსენებული ცოლ-ქმარნი მართლაც ნიჭიერნი არიან, განსაკუთრებით კუპლეტების მღერაში. დღეს, თურმე, ქართულად უნდა იმღერონ „ახ მეზურნე დაჰკარ-დაჰკარ!—შენი ჭირიმე“.

—

**სად. საბუნჩა** ქართული საქველ-მოქმედო წარმოდგენა. (დაგვიანებული რეცენზია). 6 სექტემბერს ბალახანაში, ბენკენდორფის კლუბში, რომელიც პატრონმა უფასოდ დაგვითმო, ბალახანის ქართველ სცენის მოყვარეთა პ. ჭანიშვილის და ი. ევდოშვილის თაოსნობით, ბაქო-ბალახანის იაფფასიან სამკითხველო-ბიბლიოთეკის სასარგებლოდ წარმოდგენილ იქნა „დედა და შვილი“ ი. ჭავჭავაძისა და „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“ ვ. გუნიასი. საზოგადოდ წარმოდგენამ მწყობრად და მოსალოდნელზე უფრო კარგად ჩაიარა. ნაღდი ფული 47 მ. 92 კ. დარჩა, რომელიც გადაეცა დანიშნულებისამებრ სამკითხველოს გამგეს. დიდი მადლობის ღირსნი არიან, როგორც ზემო აღნიშნული მოთავე პირნი, აგრეთვე მათთან წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებნი. ქქ. ო. კახიანისა, ნ. კანდელაკისა. ბბ. ტყეშელაშვილი, გ. კარბელი, ნ. მარჯანაშვილი, ბარამიძე და სხ., აგრეთვე გარ. კახიანი, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა ამ საქმეს.

სასურველია ამ ერთ მუჭა ბალახანის ქართველებს მიბაძოს ბაქოს ქართველებმა და ამავე მიზნით მართონ წარმოდგენა ბაქოში. სადაც ერთი ათად მეტი შემოსავალი ექნება და მით დიდს სამსახურს გაუწევენ ახლად დაარსებულ სამკითხველოს. ბალახანის ქართველები კი ყოველთვის მზად არიან თანაუგრძნონ.

აღნიშნულ წარმოდგენაზე კი ვერ გაგვიმართლეს ბაქოელ ქართველებმა იმედი; არც ერთი არ ყოფილა ბიბლიოთეკის წარმომადგენელ ბაქოდან. ნუ დაივიწყებენ, რომ ბიბლიოთეკა ბაქოშია გახსნილი და ერთი ათად მეტს სარგებლობენ ბაქოელები, ვიდრე ბალახანაში.

დიმიტრი მელაძე

## სასამართლოს მატიანე

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

### ცოლის მსხვერპლი

(შემდეგი*)

ოქტომბერში 1896 წ.,—განაგრძო სოლოვცოვმა,—მე მივმართე წერილით სამხედრო მინისტრს, დაწერილი საბუთებიც წარვუდგინე და ვსთხოვე, რომ მას ღონისძიება მიეღო, რათა თავ. ვაჩნაძე გამსწორებოდა ბრძოლით. დავბრუნდი მე ბათომში და გამოვუცხადე კომენდანტს ღენერალს პოტდიაგინს, რომ მე ჩემს საქმეს უთუოდ დავაბოლოვებ და მოვსთხოვ თავ. ვაჩნაძეს, რომ იგი დუელით გამისწორდეს. თურმე ამავე დროს ჩემს ცოლსაც მიურთმევია ხელმწიფისთვის არზა, რომელშიაც მე მიწასთან მასწორებდა, მაძაგებდა, რისთვისაც თხოულობდა ჩემი ცოლი პასპორტს სხვაგან საცხოვრებლად და ვაჟიშვილი მიეცათ. უმაღლესმა კანცელარიამ ეს საქმე გამოიძია და მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა. პოდტიაგინისაგან გავიგე, რომ ჩემი წერილისათვის გზა მიუციათ და საქმე გამოძიებაში ჩაუგდიათ. მინისტრმა ეს საქმე გადასცა პოდტიაგინს, როგორც ჩემის საქმის კარგათ მცოდნელს. მე კიდევ განუმეორე პოდტიაგინს, რომ მე უთუოდ ვთხოულობ ან დუელს და თავ. ვაჩნაძის სამსახურიდგან გამოსვლას. მალე პოდტიაგინმა გამომიცხადა, რომ თავ. ვაჩნაძემ დუელზედ უარი ჰყო. ამის შემდეგ რჩევა ვთხოვე პოდტიაგინს, რაზედაც იმან მითხრა: „ჯერ მოითმინეთ“. ასე გადიოდა დრო და ვერაფრამდის ვერ მივახწიე. რა უნდა ყოფილიყო ჩემი მდგომარეობა! შერცხვენილი, თავზე ლაფ-დასხმული გარეთ გამოსვლას ვეღარ ვბედავდი, თავ. ვაჩნაძე-კი ჩემთან ერთ ქალაქში ქეიფს ეწეოდა, არც ხალხს ერიდებოდა, საზოგადოებაშიაც კარგად იყო მიღებული და ამის გარდა ჩემზე ჭორებსაც ავრცელებდა. კიდევა ვკითხე პოდტიაგინს, როგორ მოვქცეულვიყავ და ბოლო უნდა მოჰღებოდა თუ არა ამ საქმეს, მაგრამ მისგან მე პასუხი ვერ მივიღე. გავიგე მხოლოდ ის, რომ ჩემი საქმე გაუგზავნია ტფილისში შტაბის უფროსთან. მე კარგად ვიცოდი, რომ ჩემი ცოლი და თვით ვაჩნაძეც სცდილობდნენ პოდტიგინთან, რომ ამ საქმისათვის ბოლო მოეღოთ, რომ თავ. ვაჩნაძე გაენთავისუფლებინათ. ისიც უნდა ვსთქვა, ისე თვალები დამიბნელდა, რომ პოდტიაგინი ჩემი მომხრე მეგონა. წავედი ტფილისში, გამოვეცხადე შტაბის უფროსს შუტლევორტს, რომელმაც მიპასუხა: „თქვენი საქმე თითქმის სულ გამოძიებულია, მე მხოლოდ ის შემიძლიან მივწერო პოდტიაგინს, რომ მან თქვენი საქმე დააშუროს, რომ მეც მხოლოდ მაშინ მოვახსენო კავკასიის მმართველს. „დავბრუნდი ბათომში. დიდმარხვის ბოლო კვირა იყო. წირვაზე კვირა დილით ჩემთან მოვიდა პოტდიაგინი, რომელსაც დავეკითხე, მიიღო მან დეპეშა თუ არა? მან მიპასუხა: „дамъ отвѣтъ, только размазанъ“. ამისთანა პასუხმა მე ძალიან გამაოცა, რის შემდეგაც სულ იმედი დავკარგე და საქმის დაბოლოვების იმედი აღარა მქონდა. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ყველას ვაჩნაძის დახსნა უნდა და მისთვის ცდილობდნენ. გარდა ამისა მე მებრძოლებოდნენ ჩემი ცოლის მშობლები, რომლებიც მიწასთან მასწორებდნენ, უნდოდათ ჩემთვის ვაჟიშვილის წართმევა, რომელიც ჩემთვის მხოლოდ ერთად-ერთი ნუგეში იყო და აბა ახლა თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა?

13 აპრილს შესრულდა წელიწადი, რაც ჩემი ცოლი საზღვარგარეთ წავიდა. პოდტიაგინის პასუხმა მოთმინებიდან გამომიყვანა, გული გადმომიბრუნა, რისთვისაც იქვე გამოვუცხადე მას, რომ მე ხვალვე ცხვირ-პირს დავამტვრევ თავ. ვაჩნაძეს. ამაზე მან მიპასუხა ისევ ის: „მოითმინეთ“. ამის შემდეგ ის უნდა ყოფილიყო, რომ მე შერცხვენილი, ოჯახ დაკარგული, როცა ცოლი თავის თავისათვის დაკარგული იყო, ძალა მეხმარა და თვითონ მე ჩემის ნებით გავსწორებოდი ჩემს მტერს და დამღუპავს. სწორედ ამისთანა ქცევამ მე დღეს ასეთს მდგომარეობაში ჩამაგდო. ავირჩიე აღდგომის მეორე დღე, რა დღესაც შემხვდა თავადი ვაჩნაძე, როცა იგი სხვა-და-სხვა ოჯახებში დღესასწაულისა გამოსანახავად დადიოდა. მე შევამჩნიე ის მაშინ, როცა ექიმ შიშკოვთან მიდიოდა ფეხით. მეც ისე წაველი. რომ პირისპირ შევჯახებოდი. მე იგი კარგად მხედავდა. როცა დამინახა, რომ მე მისკენ მივდიოდი, მან ნაბიჯს მოუმატა, რის გამო ის ჩემს ადრე შევიდა შიშკოვის სახლში. მეც მაშინვე უკან მივყევი. ის კიბეზე მიდიოდა და მე მივაძახე; „князь Вачнадзе, стоите!“ ის ჩემს ძახილზე მობრუნდა და არ მახსოვს რა მიპასუხა. მე ორიოდე ნაბიჯი ზემოდ მისკენ ავსდგი და ორჯერ მაგრად შინდის ჯოხი დავარტყი. პირველ დარტყმაზე ვაჩნაძე ოთხზე დაეცა. მეორეზე გონზე მოვიდა, ფეხზე წამოვარდა და შე-

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 639.

ვარდა მახლობელ ოთახში, მე-კი არხეინად გარეთ გამოვედი და გავსწიე მთლად დარწმუნებული, რომ ჩვენი ბრძოლა და ხიფათი გათავდა. როცა მე დავარტყი და წამოვედი, ვაჩნაძემ ჩემზე არაფერი წინააღმდეგობა არ გასწია, თუმცაკი ყოველ-ნაირი ღონისძიება ჰქონდა. გაიარა სამმა თუ ხუთმა წამმა, მე მივდიოდი, შემომესმა ფეხის ხმა, მივბრუნდი და დავინახე თავ. ვაჩნაძე, რომელსაც რევოლვერი ხელში ეჭირა და მიმიზნებდა. მე გვერდზე გადვუხტი, მან გაისროლა რევოლვერი და ვერ მომხვდა. მეც ამოვიღე რევოლვერი და ვესროლე. დავიწყეთ ორივემ სროლა. მე არ ვუმიზნებდი, ვისროდი მარჯვნივ და მარცხნივ. მე მინდოდა მხოლოდ. რომ იგი თავიდან მომეშორებინა. მე იმისი მოკვლა არ მინდოდა, მინდოდა მხოლოდ მისთვის თავზე ლაფი დამესხა და შემერცხვინა. გატყევა მისთვის სიკვდილზე უარესი იყო. მე რომ მისი ერთი წვეთი სისხლი დამეღვარა, ეს იმისთვის დიდი ბედნიერება იქნებოდა, ვიმეორებ, მე მისი მოკვლა არ მინდოდა, მე მინდოდა მხოლოდ საზოგადოებისათვის დამემტკიცებინა, რომ იგი, თავ. ვაჩნაძე, თავზე ლაფ დასხმის ღირსი იყო და არა სიკვდილისა.

კ. ერგნელი

(დასასრული იქნება)

—

**მამანაცვლის მოკვლა.** პეტრე კობახიძე, ღვინის მოყვარე ლოთი კაცი, ძალიან ხშირად ეჩხუბებოდა მეუღლე ცოლს მარიამ კობახიძისას. ცემა-ტყეპით ასისხლიანებდა, სახლიდან აგდებდა და საცოდავი მარიამი ამისთანა ცხოვრებას, მეტი რა ჯანი ჰქონდა, ემორჩილებოდა. ამ მარიამს ჰყავდა პირველი ქმრისაგან ვაჟი-შვილი გიორგი ძნელაძე, რომელიც სცხოვრობდა მამი-ნაცვლის სახლში და ამ აღწერილ ცემა-ტყეპას ხშირათ მოწმათ ესწრობოდა ხოლმე. 10 ივნისს 1898 წელს პეტრე კობახიძემ დაუწყო ცემა მარიამს. შვილი იქვე იდგა, ველარ მოითმინა, მივარდა მამი-ნაცვალს და კისერში მუშტი ჩაარტყა. ამის შემდეგ ორთავე შეიტაკნენ, პეტრემ მამინაცვალმა ჯიბიდან დანა ამოიღო, რომელიც ძნელაძემ გამოსტაცა ეს დანა და რამდენიმე ადგილას დასჭრა პეტრე, რის გამოც იგი მალე გარდაიცვალა.

ტფილისის ოლქის სასამართლოში 25 სექტემბერს თავმჯდომარეობდა ე. ბურგარდი, ბრალსა სდებდა ბრალმდებელი მასევიჩი, იცავდა ძნელაძეს, ახალგაზდა ვექილი ნ. ახუმოვი.

ძნელაძემ თავის-თავი დამნაშავედ იცნო როგორც გამოძიებაზე, იგივე სასამართლოში სთქვა, რომ ეს საქმე ჩავიდინე დედი-ჩემის დასაცველადაო.

დამცველმა ახუმოვმა სთხოვა სასამართლოს სასჯელი შეემცირებინათ დამნაშავისათვის.

სასამართლომ გარდასწყვიტა გიორგი ძნელაძე მიცემულ იყვეს სამის წლით სატუსაღო მოსარჯულებელ განყოფილებაში, და, თუ იქ ადგილი არ იქნება, დატუსაღებულ იყვეს მეტეხის ციხეში სამის წლით.

## ყურმოკრული საუბარი

—

სიკვდილით დასჯილნი გამზადებულნი იყვნენ ჩამოსახრჩობად, რომ უცებ სახრჩობელასთან თავმოყრილ ხალხში შეიჭრა გაათეთრებული ხარი და რქებით გზას იწალდავდა. თავზარდაცემულმა ხალხმა ყვირილი მორთო. ერთმა ჩამოსახრჩობმა კაცმა უთხრა მეორეს:

— კარგია, რომ ჩვენც ხალხში არა ვართ რომ ხარი ჩვენამდე ვერ მოახწევს, თორემ ცუდი საქმე დაგვემართებოდაო.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 სექტემბერი

**ნიუ-იორკი.** უოკერიდან მოსული დეპეშა იუწყება, რომ მიზენოტის შტატში, უოკერიდან 30 მილის სიშორეზე, ცხარე ბრძოლა მოხდა შტატის ჯარსა, რომელსაც გენერალი ბეკონი უფროსობდა და ინდოელებს შორისაო. ამბობენ, რომ ბეკონი და ჯარის-კაცნი, რიცხვით 100, მოკლულ იქმნენო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ შეიწყნარა იავორსკის წინადადება იმის შესახებ, რომ მთავრობის წინადადება, რომელიც ვენგრიასთან შეთანხმებას შეეხება, გარდაეცეს 48 კაცისაგან შემდგარ კომისიას. კომისიის წევრები პალატის ყველა დასის წარმომადგენელთაგან უნდა იყოს შემდგარი.

**პარიზი.** „ფიგარო“ სწერს, რომ საფრანგეთის მთავრობამ მოსთხოვა მარშანს მოხსენება ფაშოდის დაჭერის შესახებ. ამასთან მთავრობა ინგლისს უკვე მოურიგდა. მოლაპარაკება მხოლოდ ამ მოხსენების მიღების შემდეგ დაიწყება.

**პარიზი.** კრიტში მყოფ საფრანგეთის, რუსეთის და იტალიის ადმირალებმა ახალი ჯარი მოითხოვეს. რუსეთი, ინგლისი და იტალია თანხმანი არიან იმისა, რომ ვიდრე სახელმწიფოთა ნოტაზე პასუხს მიიღებდნენ ოსმალეთისაგან, საფრანგეთმა გაჰგზავნოს კრიტში 800 კაცი და ორი ზარბაზანი. ინგლისი ჯარს არ გაჰგზავნის, რადგანაც კრიტში საკმაო ჯარი ჰყავს.

**ლონდონი.** იმ ნოტაში, რომელიც სახელმწიფოთ პორტას გარდასცეს, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ოსმალეთმა ერთის თვის განმავლობაში კრიტიდან ჯარი უნდა გაიყვანოს, ამასთან ჯარის გაყვანას ორის კვირის შემდეგ უნდა შეუდგესო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი 24 სექტემბერს ლივადიაში მობრძანდა.


# ქართული რვეულები

დედა-ენასთან სახმარებელი, პირველი და მეორე ნომერი, იყიდება წერა-კითხვის მაღაზიაში; ფასი 4 კაპეიკი. ვინც ასობით იყიდის, იმას თითო რვეული დაეთმობა $3^{3}/_{4}$ კაპეიკად. მყიდველებმა ქუთაისში უნდა მიმართონ ბეჟანეიშვილის მაღაზიას და ხონში ილ. ბახტაძის წიგნის მაღაზიას. (8—8)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел. хоз. кредита и препод. школы садоводства.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ- 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—48)




ღვინის სარდაფი

# „იყალთო“

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა

გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლი, სასტ. „როსსიას“ ქვეშ, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

# „იყალთო“

ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**

Князей Г. и Л. Макаевыхъ

**подъ фирмой**

## „И К А Л Т О“

Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Антонова, подъ гост. «Россія» (75—23)